სსიპ - განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

საქმიანობის წლიური ანგარიში

2020 წელი

სარჩევი

აბრევიატურები 4

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესახებ მოკლე ინფორმაცია 5

I თავი. განხორციელებული აქტივობები 6

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 6

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები 6
- მხარდამჭერი სახელმძღვანელოები ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები 9
- ჩატარებული ტრენინგები, კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები 10
- კლასტერული აკრედიტაცია 11
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი 12
- ENQA რეკომენდაციები და ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაო 13

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 14

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები 14
- მხარდამჭერი სახელმძღვანელოები, ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები 15
- ჩატარებული ტრენინგები, კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები 16
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი 17

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 18

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები 18
- შემუშავებული დოკუმენტები 19
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი* 20
- ჩატარებული სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები 20

ეროვნული საკვალიფიკაცო ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი 21

- პროფესიული და უმაღლესი დარგობრივი საბჭოების ადმინისტრირება 21
- პროფესიული ჩარჩო დოკუმენტების ცვლილებები 21
- შემუშავებული დოკუმენტები 21
- ჩატარებული სამუშაო შეხვედრები 23

„არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“ 23

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაცია“ 24

საქმისწარმოება 25

- ცენტრში დაცული დოკუმენტაციის დაარქივება 25

მომხმარებლებისთვის სერვისების მიწოდება, კონსულტაციის გაწევა 25
ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები 26

საგანმანათლებლო სერვისები 26

საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების სრულყოფა 26
მომხმარებლებისთვის მიწოდებული საგანმანათლებლო სერვისების რაოდენობა 27

სტრატეგიული კომუნიკაციები 28

მომხმარებლებზე ორიენტირებული ცენტრის ვებ-გვერდი 28
დაინტერესებულ მხარეებთან, მომხმარებლებთან და ცენტრის თანამშრომლებთან კონსულტაცია, კომუნიკაცია 29

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა 30

ინფორმაციული უსაფრთხოება 31

ადამიანური რესურსების მართვა 31

შემუშავებული დოკუმენტები 31

ჩატარებული სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები 32

პერსონალური მონაცემების დაცვა 33

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა 34

ინტერნაციონალიზაცია 34

WFME 35
ENQA 36
BFUG 37
Twinning 38
გაფორმებული მემორანდუმები და პროექტის ხელშეკრულებები 39

ცენტრის ინსტიტუციური განვითარება 40

საკოორდინაციო საბჭო 40

სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 41

ჩატარებული კვლევები, ანალიზი და შემუშავებული დოკუმენტები 42
Covid-19- თან დაკავშირებით დაგეგმილი კვლევები 43

II თავი. განხორციელებული ქვეპროგრამების მოკლე ანგარიშები 44

„ინსტიტუციური თვითშეფასებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების განვითარების ქვეპროგრამა“ 44
„არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამა” 45

აბრევიატურები

BFUG ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფი

CAF ერთიანი შეფასების ჩარჩო

CEENQA ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი

DEQAR CONNECT ერაზმუს პლუსის მიერ დაფინანსებული პროექტი

EFQM ხარისხის მართვის ევროპული ფონდი

EKKA ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო

EMIS სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

ENQA უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია

EQAR უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრი

ISO სტანდარტიზაციის საერთაშორისო სისტემა

NAQA უკრაინის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო

PDCA „დემინგის ციკლი "- „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-განავითარე "

PROFFORMANCE ერაზმუსის მიერ დაფინანსებული პროექტი

QMS ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემა

Twinning საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი, „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება "

WFME სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესახებ მოკლე ინფორმაცია

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №89/ნ ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 14 სექტემბერს სსიპ–აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა.

ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. იგი მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებაზე, დანერგვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე. ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იგი მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე; ცენტრი უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვასა და განვითარებას, შეიმუშავებს და ავითარებს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს. საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მიღებული განათლების სწავლის შედეგების სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებას, ნამდვილობის დადასტურებას; საგანმანათლებლო დოკუმენტების ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მიზნით აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ასევე, ამოწმებს განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის–დიპლომის ენობრივ სისწორეს. ცენტრი თანამშრომლობს სხვა ქვეყნების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცენტრის მიერ დასახული მიზნების მიღწევა და ამოცანების წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოში განათლების ხარისხის განვითარებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ასევე, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციას.

I თავი. განხორციელებული აქტივობები

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2020 წლის 16 მარტიდან გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე. ცენტრმა დისტანციურად განახორციელა დაწესებულებების/პროგრამების გარე შეფასებები, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. გამონაკლისს წარმოადგენდა ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კონკრეტული სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, სადაც შეუძლებელია დისტანციურად განხორციელდეს აკრედიტაციის პროცესი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომები/ზეპირი მოსმენები ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში. დაინტერესებული პირებისათვის ცენტრის ვებგვერდზე საბჭოს დღის წესრიგთან ერთად თავსდებოდა ბმული, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ საბჭოზე დასწრება ონლაინრეჟიმში. საბჭოს ზეპირი განხილვები ტარდებოდა Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

ცენტრის ინიციატივით „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები. აღნიშნული ცვლილების თანახმად, აკრედიტაციის საბჭოს მიეცა უფლებამოსილება, რომ იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის გაუქმების ან აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება სასწავლო წლის განმავლობაში იქნება მიღებული, მას შეეძლოს სტუდენტებისთვის გარკვეული შეღავათის მიცემა. კერძოდ, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სათანადო გადაწყვეტილებით სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წელი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს, ხოლო აკრედიტაციის გაუქმების შესახებ ან ხელახალ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად არაუგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი მიუთითოს. ზემოაღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმამ ან მისთვის აკრედიტაციის გაუქმებამ არ შელახოს სტუდენტის კანონიერი ინტერესები და მას ჰქონდეს არჩევანი – მიმდინარე სასწავლო წელი დაასრულოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ის ირიცხებოდა ან ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

აღსანიშნავია, რომ საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, ცენტრმა დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ჯგუფების ვიზიტების განხორციელებით. ვიზიტები ხორციელდებოდა უსაფრთხოების დადგენილი ნორმების სრული დაცვით. ექსპერტები დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში აფასებენ დაწესებულების მატერიალურ რესურსებს (სასწავლო–სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები) აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიურების პროცესები მიმდინარეობდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შედგა შეთანხმება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასა (WFME) და ცენტრს შორის ერთსაფეხურიანი მედიცინის პროგრამების აკრედიტაციისა და მათი განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის პროცესების ნახევრად ონლაინ რეჟიმში განხორციელების მეთოდოლოგიის შესახებ. ამასთან, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მომზადდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის N1881 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის პროექტი, რომლის თანახმად გადაიწია ჯანდაცვის, სამართლის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადები.

2020 წელს ცენტრმა პირველად განახორციელა ავტორიზაციის, აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების წევრთა შერჩევის პროცესების ადმინისტრირება. ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საბჭოების წევრების შერჩევის მიზნით კომისიები, რომლებმაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს 2020 წლის დეკემბერში წარუდგინეს საბჭოს შესაბამისი კანდიდატურები.

2020 წლის განმავლობაში, ESG–თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებითა და პროცედურებით შეფასდა 224 სააკრედიტაციო განაცხადი, გამოიცა 158 მაძიებლობის ბრძანება; ჩატარდა 130 ვიზიტი, მათ შორის 45 ელექტრონულად. ჩატარდა აკრედიტაციის 87 საბჭო, რომელმაც განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო 366 საკითხთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ვიზიტებში მონაწილეობა მიიღეს ახალმა სტუდენტ–ექსპერტებმა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 235 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ამასთან, საანგარიშო პერიოდში, ESG–2015–თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტებითა და პროცედურებით მონიტორინგის გზით ჩატარდა 14 საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგი. დამატებით 2 საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 104 ერთწლიანი ანგარიში. ამასთან, აკრედიტაციის საბჭომ განიხილა ექვსი საკითხი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის

მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ საკითხებზე საბჭომ მიიღო ექვსი გადაწყვეტილება. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შეისწავლეს ანგარიშები, ხარვეზი დადგენილია 50 ანგარიშზე.

ESG-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებითა და პროცედურებით განხორციელებული აქტივობები

შეფასებული სააკრედიტაციო განაცხადები	224
გამოცემული მაძიებლობის ბრძანებები	158
განხორციელებული ვიზიტები	130
ჩატარებული აკრედიტაციის საბჭოები	87
საბჭოზე განხილული უს პროგრამები	235
ჩატარებული გეგმიური მონიტორინგი	14

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიმართულებით წარმოადგენილ იქნა 6 საავტორიზაციო განაცხადი, ჩატარდა ავტორიზაციის საბჭოს 21 სხდომა და ავტორიზაციის 3 ვიზიტი. ავტორიზაციის საბჭომ განიხილა 18 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მონიტორინგის შედეგები. ჩატარდა ინდივიდუალური შეხვედრები იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებსაც ავტორიზაციის ვადა 2020–2021 წლებში ეწურებოდათ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისთვის განხორციელებული აქტივობები

ავტორიზაციისთვის წარმოდგენილი განაცხადები	6
ავტორიზაციის საბჭოს ჩატარებული სხდომები	21
ავტორიზაციისთვის განხორციელებული ვიზიტები	3
დაწესებულებები, რომლის მონიტორინგის შედეგებიც საბჭომ განიხილა	18

მხარდამჭერი სახელმძღვანელოები

ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები

2020 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ შემუშავდა ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები. კერძოდ, შემუშავდა და დამტკიცდა საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი, ქართული ენის და მასწავლებლის მომზადების თვითშეფასების პროექტები, გაზიარებულ იქნა 62 საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, მიღებული იქნა 19 უკუკავშირი, თვითშეფასების პროექტი ინიცირებულ იქნა დასამტკიცებლად. ასევე, მომზადდა და დამტკიცდა სადოქტორო საფეხურის პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის ანგარიშის პროექტი, რომელიც გაზიარებულ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ასევე, შემუშავდა და დამტკიცდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოსადგენი ანგარიშის ფორმის ცვლილებები აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით და ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მინიჭებიდან 3 წლის შემდგომ წარმოსადგენი თვითშეფასების ფორმა, განისაზღვრა მისი წარმოდგენის ვადები. განახლდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შესავსები ფორმა. შემუშავდა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრისა და ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებულ პროცესებთან დაკავშირებით წარმოდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები, პროცედურების აღწერები და განცხადების ფორმები, რომლის საშუალებითაც მოხდება სავარაუდო დარღვევების შესახებ ცენტრში ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნული ცვლილებებით მნიშვნელოვნად შემცირდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში ავტორიზაციის ან აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და სასწავლო პროცესის დისტანციურ ფორმატში გადატანის გათვალისწინებით, მომზადდა ინსტიტუციებისათვის გზამკვლევი ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ცენტრის ვებგვერდს დაემატა ახალი კატეგორია – „მხარდაჭერა COVID-19”-ის პირობებში, რომელიც აერთიანებს რჩევებს და სასარგებლო რესურსებს ინსტიტუციებისათვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით. ასევე, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მომზადდა კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები თუ როგორ უნდა უზრუნველყონ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დისტანციური ფორმით განხორციელებულ სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტებზე ხარისხის შეფასება.

სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან (EMIS) კოორდინაციით განისაზღვრა ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვისთვის ჩასატარებელი სამუშაოების ვადები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმომადგენლებთან ერთად დაიგეგმა ელექტრონული სისტემის პილოტირება წინასწარ შერჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2020 წელს უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებს ცენტრში საავტორიზაციო განაცხადები ელექტრონული სისტემის მეშვეობით არ წარმოუდგენიათ. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა გაგრძელდება 2021 წელს.

მნიშვნელოვანია, რომ 2020 წელს ერაზმუს პლუსის მიერ დაფინანსებული DEQAR CONNECT პროექტის ფარგლებში მოხდა ცენტრის ახალი ვებგვერდის სინქრონიზაცია უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრის (EQAR) საინფორმაციო ბაზასთან (DEQAR). სინქრონიზაცია შესაძლებლობას იძლევა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებები ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდგომ ავტომატურად მოხვდეს EQAR–ის ელექტრონულ ბაზაში.

ჩატარებული ტრენინგები, კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები

2020 წელს ცენტრმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით, დაგეგმა და განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. კერძოდ, წლის დასაწყისში ცენტრის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიგზავნა იმ საკითხების, თემების ჩამონათვალი, რომელშიც ისინი ისურვებდნენ ცენტრის მიერ ტრენინგების ჩატარებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, განისაზღვრა პრიორიტეტული თემები და ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები, რომლებსაც წარუძღვნენ, როგორც ცენტრის თანამშრომლები, ასევე საერთაშორისო ექსპერტები.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ავტორიზაციის საბჭოს ტრენინგი ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების თაობაზე. გარდა საბჭოს წევრებისა, ტრენინგები ჩაუტარდათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებს. ასევე, ცალკე სამუშაო შეხვედრები ჩატარდა სააპელაციო საბჭოს წევრებთან ონლაინ რეჟიმში, რომელზეც განხილულ იქნა სააპელაციო საბჭოს როლი, ფუნქციები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები.

2020 წლის განმავლობაში ცენტრი აგრძელებდა ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მიზნებისა და პრინციპების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობას საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში, განსაკუთრებით კი სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ამ მიზნით ცენტრი გახდა PROFFORMANCE პროექტის პარტნიორი საქართველოდან, რომელმაც ევროკავშირის დაფინანსება მოიპოვა. პროექტის მიზანია ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეებზე შესაბამისი სტრატეგიების წახალისებით. პროექტის კონსორციუმი მიზნად ისახავს შეიმუშაოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, ინსტრუმენტები და რეკომენდაციები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, რაც

უმაღლესი განათლების დაწესებულებებსა და უმაღლესი განათლების პოლიტიკის შემმუშავებლებს დაეხმარება აკადემიური პერსონალის შეფასების, მათი წახალისებისა და განვითარების კომპლექსური სისტემების დაგეგმვაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას პროექტი ითვალისწინებს სტუდენტთა მაღალ ჩართულობას. პროექტის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს პრაქტიკაში გადაიტანონ და დანერგონ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სწავლების ხარისხთან დაკავშირებული პრინციპები. პროექტის ფარგლებში მოხდება ინოვაციურ სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შეგროვება და გაზიარება შესაბამისი ელექტრონული ბაზის შექმნითა და აკადემიური პერსონალის წევრებისათვის განკუთვნილი ჯილდოს დაწესებით.

კლასტერული აკრედიტაცია

2020 წელს ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლისთვის მოსამზადებელი სამუშაოები. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში შემუშავდა კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. შემუშავდა კლასტერული აკრედიტაციის პროცედურა, რომლის განხილვაც ჩატარდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან. 2021 წლის აპრილიდან იგეგმება კლასტერული აკრედიტაციის პილოტირება ფილოსოფიის, ისტორია–არქეოლოგიის, ენებისა და ლიტერატურის მიმართულებებში. პილოტირების პროცესის შედეგების გათვალისწინება მოხდება კლასტერული აკრედიტაციის მექანიზმის დახვეწის მიზნით. პილოტირების პროცესში ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად ჩართულები იქნებიან საერთაშორისო ექსპერტები ესტონეთიდან და გერმანიიდან. პარალელურად 2021 წლისათვის დაიგეგმა ჰუმანიტარული მიმართულების ანალიზის განხორციელება და ასევე ჰუმანიტარული ვიწრო და დეტალური სფეროების მიმართულებით (ისტორია, არქეოლოგია, ენები, ქართული ფილოლოგია) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური აკრედიტაციისგან განსხვავებით კლასტერული აკრედიტაცია დაზოგავს ადამიანურ რესურსებს, დროსა და ხარჯებს, როგორც ცენტრისთვის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ასევე ხელს შეუწყობს კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ეფექტურ დანერგვას. ამასთან, კლასტერული აკრედიტაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აკრედიტაციის ექსპერტებს და საბჭოს წევრებს მისცემს მეტ შესაძლებლობას უკეთ დაინახონ კონკრეტული სფეროსა და დარგის განვითარების ტენდენციები ინსტიტუციის ფარგლებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის განახლების მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის ატესტაცია. ატესტაციის შედეგად, ექსპერტთა კორპუსის წევრებმა გაიარეს ატესტაციის პროცედურები, რომელმაც შესაძლებლობა მისცა საატესტაციო კომისიას ყოველმხრივ და სიღრმისეულად შეეფასებინა ექსპერტთა კორპუსში მყოფი პირების კომპეტენცია, უნარები და ეთიკური დამოკიდებულებები. ამასთან, განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ანალიზისა და ატესტაციის შედეგების საფუძველზე საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგების ორგანიზების სახით.

ამასთან, 2020 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა ექსპერტთა კორპუსების განახლება. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა 2018-2019 წლების განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ანგარიში, რომელიც პრეზენტაციის სახით წარედგინათ დაინტერესებულ მხარეებს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსს დაემატნენ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები, რომელთა შერჩევაც განხორციელდა საჯარო და ღია კონკურსის საფუძველზე. ავტორიზაციის ექსპერტთა მოძიება განხორციელდა სამედიცინო განათლების მიმართულებით. ავტორიზაციის მიმართულებით ექსპერტთა კორპუსს ასევე დაემატა 4 საერთაშორისო ექსპერტი. განახლდა აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის დანართი და შესაბამისობაში მოვიდა 2019 წლის 10 აპრილის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებასთან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ.

ასევე, საჯაროდ გამოცხადდა კონკურსი სტუდენტი ექსპერტების შერჩევის მიზნით. აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში მათი როლის წარმოჩენის მხარდაჭერისთვის მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარჩინებული სტუდენტების შესახებ. სტუდენტ-კანდიდატებთან ჩატარდა გასაუბრება და ისინი გახდნენ ექსპერტთა კორპუსის წევრები. მნიშვნელოვანია, რომ ახალმა სტუდენტ-ექსპერტებმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტებში მიიღეს მონაწილეობა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის ვიზიტის წინ დისტანციურად ჩატარდა 20 შეხვედრა, სადაც განიხილეს მათი როლი აკრედიტაციის პროცესში. შეხვედრის ფარგლებში ასევე, გაეცნენ სტანდარტებსა და სხვა მარეგულირებელ აქტებს. შეხვედრების მიზანი იყო ინსტიტუციის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სტუდენტების როლის გაძლიერება და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. სტუდენტი ექსპერტებისთვის შემუშავდა მათ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგმოდული,

რომელიც მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ორდღიანი ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 60-მდე სტუდენტი ექსპერტი. სულ ჩატარდა 4 ტრენინგი.

ექსპერტთა, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების, პროფესიული განვითარების და საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის უკეთ გაცნობის მიზნით, მომზადდა ვიდეო რგოლები შემდეგ საკითხებზე: ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები, უმაღლესი განათლების სისტემა, ექსპერტთა საქმიანობის წესი და ეთიკის კოდექსი. ასევე, განხორციელდა ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების მნიშვნელოვანი განახლება, რომელიც იძლევა ექსპერტების საქმიანობის უფრო დეტალური და სრულყოფილი შეფასების განხორციელების შესაძლებლობას. შეფასების შედეგების შესახებ მომზადებული ანგარიში გაცნობილ იქნა ექსპერტებისთვის და მათთან ერთად დაიგეგმა მათი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის შემდგომი აქტივობები. გარდა ამისა, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებისთვის ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა და ტრენინგი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში განახლდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და ავტორიზაციისა ექსპერტთა კორპუსების ექსპერტთა ავტობიოგრაფიები. შექმნილია კომისია, რომელიც სწავლობს ექსპერტთა განახლებულ პირად საქმეებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, ექსპერტთა კორპუსში არსებული ექსპერტების სფეროების განსაზღვრისათვის.

ENQA რეკომენდაციები და ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაო

2020 წელს ცენტრის მიერ ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაო ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების კუთხით, რაც ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების შემდგომ დახვეწას და ცენტრის ინსტიტუციურ განვითარებას. ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და მოწვეული უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტების მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფმა ცენტრის ხელმძღვანელობისთვის მოამზადა წინადადებები ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. რეკომენდაციებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების დახვეწაზე, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მონიტორინგის სისტემის, თვითშეფასების პროცესის დახვეწასა და საჩივრების პროცედურების გამჭვირვალობის გაუმჯობესებაზე. რეკომენდაციები, ასევე, შეეხო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინსტიტუციურ განვითარებას, კერძოდ, ცენტრის დამოუკიდებლობის საკითხს და გადაწყვეტილების მიღების სისტემას. შემუშავებული რეკომენდაციების დოკუმენტის განხილვა მოხდა გერმანელ და ესტონელ ექსპერტებთან ერთად ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში. ამასთან, 2020 წელს ENQA-ს რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებებში შესატანი ცვლილებების პროექტები, რის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა დებულებებში.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

Covid-19 ვირუსის თავიდან აცილების მიზნით, ცენტრის პროფესიული განათლების უზრუნველყოფის სამსახური გადავიდა თავისი ფუნქცია-მოვალეობების დისტანციურად განხორციელების რეჟიმში. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების სხდომები/ზეპირი მოსმენები ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 25 სხდომა, დასრულდა 180 ადმინისტრაციული წარმოება; დასრულდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების 106 განაცხადის განხილვა (მათ შორის 13 პროგრამის დამატების განაცხადი, რომელიც ასევე მოიცავს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას), საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე 20 ადმინისტრაციული წარმოება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის 13 ადმინისტრაციული წარმოება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ 8 ადმინისტრაციული წარმოება. განხორციელდა მონიტორინგის 34 წარმოება. ამასთან, ჩატარდა მომზადება/გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 16 სხდომა, დადასტურდა 83 პროგრამა და უფლება მიენიჭა 24 პროგრამას. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების პროვაიდერ ორგანიზაციებში განხორციელდა 30 მხარდაჭერის ვიზიტი.

დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავებისა და განვითარების წესი. დასამტკიცებლად ინიცირებულია პროექტი პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ.

მხარდამჭერი სახელმძღვანელოები, ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები

2020 წლის თებერვალში არსებითად შეიცვალა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები. ცვლილების ერთ-ერთი მთავარი შედეგი შეფასების ხისტი სისტემიდან განვითარებაზე ორიენტირებულ, ოთხდონიან სისტემაზე გადასვლა იყო, რაც უმაღლეს განათლებაში უკვე ორი წელია დაინერგა. ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებთან დაკავშირებით შემუშავდა გზამკვლევი. სამუშაო ვერსიის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები. გზამკვლევი მეორე სტანდარტთან მიმართებით განიხილეს ავტორიზაციის ექსპერტების გარკვეულ ჯგუფთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების ადმინისტრაციულ წარმოებებში. გზამკვლევი გადაიგზავნა უცხოელ ექსპერტებთან დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში, მათი მოსაზრებები გადაიხედა და შეძლებისდაგვარად აისახა მეორე სტანდარტის განმარტებებში.

განახლდა ავტორიზაციის პროცესში გამოსაყენებელი არსებული ფორმები. ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული საავტორიზაციო განაცხადის ფორმები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმები (ჯამში – 11 ფორმა). გარდა აღნიშნულისა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე თვითშეფასების პილოტირებაში მონაწილე ექსპერტებს დაეგზავნათ თვითშეფასების სამუშაო ფორმა უკუკავშირისა და შენიშვნებისთვის, რის შედეგადაც ინსტიტუციური თვითშეფასების ფორმას მიეცა საბოლოო სახე. სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან სამუშაო შეხვედრების შედეგად, შეთანხმდა ფორმის შინაარსობრივი მხარე და განისაზღვრა ხარისხის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვისთვის ფორმის ძირითადი პარამეტრები, განისაზღვრა წარდგენის ვადები.

გაეროს პროექტის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების მონიტორინგის მეთოდოლოგია და მონიტორინგის სქემა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა თვითშეფასებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და მათი ადაპტაცია ქართულ გამოცდილებასთან. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, სამსახურმა კერძო და სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან ჩაატარა სამუშაო შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც მოხდა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მეთოდოლოგიის განხილვა, საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაცია. შედეგად, მომზადდა შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისა და გამოცდების ჩატარების, ასევე საგამოცდო კომისიის წევრთა შერჩევის წესების სამუშაო ვერსია.

ჩატარებული ტრენინგები, კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების თვითშეფასების ორგანიზების მიმართულებით ჩატარდა მხარდამჭერი ღონისძიებები. დაწესებულებების განმავითარებელი შეფასებების განხორციელებისთვის მეორე კვარტალში შეირჩა 8 სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებიც საკუთარი სურვილით გაივლიან ავტორიზაციის იმიტირებულ პროცესს. ამასთან, 2020 წლის მეოთხე კვარტალში ექსპერტებთან დაიდო ხელშეკრულებები, რომლებმაც 16 საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შეაფასეს მათი შესაძლებლობები.

2020 წლის თვითშეფასების ანგარიში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა 85 საგანმანათლებლო დაწესებულებამ. 2021 წელს ამ თვითშეფასებებზე დაყრდნობით დაიგეგმება სისტემური და ინსტიტუციური მხარდაჭერის ღონისძიებები. პარალელურად, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით მომზადდა ელექტრონული

პლატფორმა მომავალში თვითშეფასებების ელექტრონულ ფორმატში განსახორციელებლად.

პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის გზამკვლევზე დაფუძვნებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მომზადდა და ჩატარდა ტრენინგების ციკლი. ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, აღნიშნული აქტივობები განხორციელდა მარტი–ივნისის პერიოდში. პირველ ეტაპზე შემუშავდა ტრენინგმოდული, რომლის თემატიკაც 9 დღეზე გაიწერა და რომლებიც თავის მხრივ ორ ეტაპად გაიყო (პირველი ეტაპი – 5 დღე და მეორე ეტაპი – 4 დღე). პირველი ეტაპის თემატიკა –ცვლილებები ავტორიზაციის დებულებაში, ავტორიზაციის მეორე სტანდარტის განმარტებები, თვითშეფასების როლი და მნიშვნელობა, შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, თვითშეფასების ფორმა და ელექტრონული პლატფორმა. მეორე ეტაპის ტრენინგების თემატიკა–ავტორიზაციის პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტების განმარტებები. ტრენინგები 2020 წლის 4 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით, Zoom –ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით ჩატარდა. საერთო ჯამში ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 88 ავტორიზებული დაწესებულების–193–მა წარმომადგენელმა ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს სატრენინგო მასალები მიეწოდა. აღნიშნული ტრენინგების ციკლიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2020 წლის მესამე კვარტალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებიდან გამოითხოვა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტები და მოამზადა ანალიზი.

ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი. ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრირების საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოების საქმიანობის შეფასების კონცეფციის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებისთვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა საბჭოების საქმიანობის კონცეფცია.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ჩატარდა 2 ტრენინგი პროგრამების შემუშავების და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით. მონაწილეობა მიიღო 100 – მდე პირმა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარების მიზნით შემუშავდა 4 დღიანი ტრენინგმოდული ავტორიზაციის მეორე – საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან, ავტორიზაციის განახლებულ

პროცედურებთან და დიფერენცირებულ შეფასებასთან დაკავშირებით და ტრენინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 113 ექსპერტმა გაიარა.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის დარგის და განათლების ექსპერტთა სამუშაოს აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტების განხილვა ონლაინრეჟიმში მიმდინარეობდა. დოკუმენტებთან დაკავშირებით უკუკავშირი სამუშაო ჯგუფების წევრებს გაუგზავნეს. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების მეთოდოლოგია და სქემა – პირველი სამუშაო ვერსია. დოკუმენტი პროექტის სამუშაო ჯგუფებთან განიხილეს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარება/სრულყოფის მიმართულებით, 2020 წლის მაისში ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა "პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი", რომელიც მომზადდა სერტიფიცირების კონცეფციის საფუძველზე. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის №547166 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით, რომლითაც განისაზღვრა კონკურსის ეტაპების ვადები. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ეტაპებად განისაზღვრა: ა) კანდიდატთა შერჩევა, ბ) სპეციალური კურსის გავლა, გ) საბოლოო შეფასება. კანდიდატების დიდი რაოდენობისა და ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით პროცესის სრულად დასრულების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 1 აპრილი.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების ექსპერტთა კორპუსის ტრენინგი ონლაინ რეჟიმში გაიარა 170–მა ექსპერტმა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

საანგარიშო პერიოდში ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტებით განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის/მონიტორინგის შეფასებები. კერძოდ, ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება – 21, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოება – 7, მონიტორინგის წარმოება – 19 (გეგმური; არაგეგმური (საჩივრების

საფუძველზე; დაწესებულების ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით). 2020 წელს ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 13 სხდომა.



საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში განხორციელებასთან დაკავშირებით ცენტრში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებების ანალიზის საფუძველზე, მომზადდა უცხოურ ინსტიტუტებთან დასადები ხელშეკრულების ქართული და ინგლისურენოვანი პროექტი. განხორციელდა ორი ადმინისტრაციული წარმოება პროგრამების აღიარებასთან დაკავშირებით.

შემუშავებული დოკუმენტები

საანგარიშო პერიოდში, მომზადდა ავტორიზაციის სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და განთავსდა ცენტრის ვებგვერდზე. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების ჩართულობით განხორციელდა დასკვნის ფორმების შემუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის ფორმის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებული პირები. შემუშავდა ტრენინგ მოდულები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებით. გაანალიზდა კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2020 წელს წარმოდგენილი თვითშეფასებების ანგარიშები. ანალიზის შედეგად იდენტიფიცირდა გასაუმჯობესებელი მხარეები და დაიგეგმა განმავითარებელი ღონისძიებები. დაწესებულებების თვითშეფასებების ანალიზთან დაკავშირებით 21-25 სექტემბერს განხორციელდა დაძმობილების (Twinning) პროექტის პროექტის მხარდაჭერით უცხოელი ექსპერტების მისია, რომლის ფარგლებშიც მოხდა გამოცდილების გაზიარება და სამოქმედო გეგმის დასახვა.

ამასთან, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

შედეგზე ორიენტირებული შეფასების კონცეფციის პროექტის მომზადებაზე. შესაბამისად, ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა მიმოიხილეს დოკუმენტის სამუშაო ვერსია და მოხდა კონცეფციის პროექტის შემუშავება.

გარდა აღნიშნულისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასების სტანდარტების პროექტის შესამუშავებლად ჩატარდა შეხვედრები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და საგანმანათლებლო ასოციაციის წევრებთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასების სტანდარტების საბოლოო ვერსიის მომზადების პროცესში ჩართული იყო დაძმობილების (Twinning) პროეტის ექსპერტი. აღსანიშნავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასების სტანდარტებთან დაკავშირებით გამართული შეხვედრების შემდეგ, სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ჯგუფთან მიღებულია გამოხმაურებები, რის საფუძველზეც ხდება სტანდარტის პროექტის დამუშავება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა განვითარებისა და სრულყოფისთვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის პირობები. ატესტაციის ფარგლებში, თეორიული გამოკითხვის კომპონენტი, ექსპერტთა ტესტირება ჩატარდა 2020 წლის 07 სექტემბერს. ტესტირებას წინ უძღოდა ექსპერტთა ატესტაციის საკითხებზე მოქმედ ექსპერტებთან საინფორმაციო შეხვედრები და კონსულტაციები. შემდეგ ეტაპზე, გასაუბრების ფორმატში შეფასდა ექსპერტთა პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევები. იმ ექსპერტთა მიმართ, რომლებმაც ვერ გადალახეს ტესტირებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, დაიგეგმა განმავითარებელი ღონისძიებები,რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში ექსპერტს მიეცემა უფლება შეფასებაში მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, დაიგეგმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა განვითარება, სრულყოფა, დასკვნის ფორმების, თვითშეფასების ფორმების განახლება მოქმედი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც ახალი სტანდარტების დამტკიცების დაგვიანების გამო ამ ეტაპზე შეჩერებულია.

ჩატარებული სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები

ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით დაწესებულებების წარმომადგენლებთან დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა 20 საკონსულტაციო შეხვედრა. ასევე, ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასების სტანდარტების და კრიტერიუმების პროექტის განხილვა.

ამასთან, ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის განხორციელდა სამუშაო შეხვედრის ორგანიზება მათ მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ უკუკავშირის მიწოდების მიზნით

ჩატარდა როგორც ინდივიდუალური (კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში – შემფასებელ ექსპერტთა ჯგუფთან), ისე გაფართოებული შეხვედრები ექსპერტთა კორპუსის წევრებთან. შეხვედრები შეეხებოდა როგორც უკუკავშირის მიწოდებას, ისე განმავითარებელ სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული შეხვედრების შესახებ დაინტერესებული პირებისთვის ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსდა შესაბამისი ინფორმაციები.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი

პროფესიული და უმაღლესი დარგობრივი საბჭოების ადმინისტრირება

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები შევიდა "პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესში". დასრულდა პროფესიული განათლების დარგობრივი საბჭოების ფორმირება, დამტკიცდა 12 მიმართულების დარგობრივი საბჭო, რომელიც ფარავს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ ყველა პროფესიულ კვალიფიკაციას. მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნა სამედიცინო განათლების მიმართულებით დარგობრივი საბჭო, რომლის მიერ მოხდება სამედიცინო განათლების დარგობრივი სტანდარტის გადახედვა, რაც მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს საქართველოში მიღებული სამედიცინო განათლების ხარისხს. ცენტრის დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულია სამართლის, არქიტექტურისა და ტურიზმის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი სამუშაო ჯგუფები; დამტკიცდა პერსონალური მომსახურების, არქიტექტურისა და მშენებლობის, განათლების, ჯანდაცვის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოები.

პროფესიული ჩარჩო დოკუმენტების ცვლილებები

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ცვლილებები ბიბლიოთეკარის, პიანისტ–აკომპანიატორისა და მუსიკის რეპეტიტორის ჩარჩო დოკუმენტებში, კანონმდებლობასთან და მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დასრულდა ოპტიმიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული თითოეული კვალიფიკაციისა და კონცენტრაციის შესაბამისი დიპლომის დანართის ნიმუშების შევსების პროცესი, სულ 130 დიპლომის დანართის ნიმუში განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე.

შემუშავებული დოკუმენტები

განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით, დამტკიცდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარების, მონიტორინგის და კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესი.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული

საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის მიერ. მომზადებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია. სამუშაო ვერსია გაგზავნილია ცენტრის შესაბამის სამსახურებთან უკუკავშირის მიღების მიზნით. შიდა ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტი განსახილველად წარედგინება გარე დაინტერესებულ პირებს. დოკუმენტის დამტკიცება იგეგმება 2021 წელს. ამასთან, მომზადებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია. დამტკიცებამდე აღნიშნული დოკუმენტი უნდა განიხილოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მმართველმა ორგანომ.

ასევე, შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავებისა და განვითარების წესის პროექტი და წარდგენილია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია პროფესიული კრედიტის დაანგარიშების წესის პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის დანერგვას, სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების, ცოდნის, უნარების და კომპეტენციების აღიარებას, ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესს. წესის პროექტი წარდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. ჩატარდა წესის პროექტის განხილვა სამინისტროს, დონორი ორგანიზაციების და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

მნიშვნელოვანია, რომ დამტკიცდა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი, შემუშავებულია ინფორმაციული და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, მენეჯმენტის და სოციალური მუშაობის მიმართულებით დარგობრივი მახასიათებლის პროექტები. ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამართლის, არქიტექტურისა და ტურიზმის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი სამუშო ჯგუფები.

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებისთვის ფორმირებულია 4 სამუშაო ჯგუფი (ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების, მენეჯმენტის, სოციალური მუშაობის და ფინანსების). სამუშაო ჯგუფები არ დამტკიცებულა ცენტრის დირექტორის მიერ, რადგან აღნიშნული აქტივობა მიმდინარეობდა დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში. ამასთან, დამტკიცდა 3 დარგობრივი მახასიათებელი და ცვლილებები შევიდა 1 დარგობრივ მახასიათებელში. მუშაობა მიმდინარეობს 2 დარგობრივი მახასიათებლის შექმნაზე და 1 დარგობრივ მახასიათებელში ცვლილებების შეტანაზე.

ჩატარებული სამუშაო შეხვედრები

დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, კვალიფიკაციის განვითარების სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები ავტორიზაციის, აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოებთან, შესაბამისი მიმართულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

პროფესიულ დარგობრივ საბჭოებზე დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელებისა და შეფასების შესაძლებლობების განხილვა.

„არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის ხელშეწყობის ეკეპროგრამა“

2020 წლისთვის არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული ჰქონდა ორ საგანმანათლებლო დაწესებულებას, კერძოდ, შპს-ს საზოგადოებრივი კოლეჯი -Nataly Academy, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და ვადით და შპს-ს „თეგეტა აკადემია“, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და ვადით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანება ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე: https://eqe.ge/res/docs/79753.pdf/

საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონული სისტემის ტექნიკური დავალებისთვის ბიზნესპროცესი და შესაბამისად დაიწყო არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონული სისტემის ფორმირება. შემუშავდა ტექნიკური დავალება მოდულისთვის "სერტიფიცირებული კონსულტანტების შერჩევა და მონაცემთა ბანკის შექმნა", აგრეთვე, მოდულისთვის საჭირო სპეციფიკაციები და მონაცემთა ბაზის სტრუქტურა. მომზადდა პროექტი ახალი მოდულების შემუშავებისთვის. დასრულებულია არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონულ სისტემაში სერტიფიცირებული კონსულტანტების შეყვანის პროცესი.

აღსანიშნავია, რომ შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების გზამკვლევი, რომლის მიზანია არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცესში დაეხმაროს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას, აგრეთვე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელებაზე უფლებამოსილ იურიდიულ პირს. გზამკვლევში მოცემულია ინფორმაცია არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცესისა და ეტაპების შესახებ. გარდა ამისა, შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტების გზამკვლევი, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებდნენ სერტიფიცირებული კონსულტანტებიც. 2020

წლის მდგომარეობით შერჩეულია არაფორმალური განათლების აღიარების 9 სერტიფიცირებული კონსულტანტი. სერტიფიცირებული კონსულტანტების სია ხელმისაწვდომია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე https://eqe.ge/geo/static/873/ .

არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მქონე დაწესებულებებისა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების განმახორციელებელი კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც დეტალურად იქნა აღწერილი არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურული საკითხები, ეტაპები, შესრულების მონიტორინგის საკითხები, უფლების მოპოვების პროცესი, პირობები და შიდა მარეგულირებელი წესი. ამასთან, სერტიფიცირებულ კონსულტანტებთან ჩატარდა ონლაინშეხვედრა. შეხვედრაზე კონსულტანტებს მიაწოდეს ინფორმაცია როგორც შემუშავებულ და შესამუშავებელ გზამკვლევებთან დაკავშირებით, ასევე მათი ჩართულობის შესახებ კონსულტანტის გზამკვლევის შემუშავებაში. აღნიშნული აქტივობა ქვეპროგრამის მიხედვით განსაზღვრულია მთელი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტების მომზადების მიზნით, ჩატარდა ონლაინტრენინგები.

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაცია“

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია და შემდგომ მათი განხორციელება წარმოადგენს საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს. ცენტრი აღნიშნული პროგრამების ხარისხის კონტროლს აკრედიტაციის გზით, უზრუნველყოფს 2019 წლის ივნისის თვიდან.

2020 წელს დასრულდა მიმდინარე სააკრედიტაციო და მონიტორინგის (ფართისა და ტრენერების ცვლილებებთან დაკავშირებით) წარმოებები (სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა – ოთხი პროგრამა; სსიპ – ფინანსთა სამინისტროს აკადემია – 2 პროგრამა; სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი – 2 პროგრამა; სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა – 2 პროგრამა; შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი – 2 პროგრამა). მონიტორინგის წარმოებები დაგეგმილი იყო მარტის თვის დასაწყისში და გადაიდო ახალი კორონავირუსის საფრთხიდან გამომდინარე, დაწესებულებების შუამდგომლობის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პირველ კვარტალში მომზადდა განახლებული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის ფორმების პროექტები. საბოლოო სახე მიეცემა დებულებაში ცვლილებების განხორციელების შემდეგ და მოხდება მათი დასამტკიცებლად წარდგენა. იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სამართლის/საჯარო მმართველობის აკადემიურ პროგრამებს ან/და აქვთ სასწავლო ტრენინგ–ცენტრები მომზადდა პრეზენტაცია და იდენტიფიცირებულები იყვნენ ის დაწესებულებები, რომლებიც უნდა მოეწვიათ საინფორმაციო შეხვედრებზე ცნობიერების ასამაღლებლად. ონლაინ საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრების

ფორმატში შეხვდნენ 10 დაწესებულებას. ამასთან, დამტკიცდა აკრედიტაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელსაც ჩაუტარდა ტრენინგი აკრედიტაციის პროცედურებთან, სტანდარტებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით. შეფასების შედეგების ანალიზის გაცნობა და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება სააკრედიტაციო შეფასებაში მონაწილე ექსპერტებისთვის Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით განხორციელდა.

საქმისწარმოება

ცენტრში დაცული დოკუმენტაციის დაარქივება

2006 წლიდან – 2015 წლის ჩათვლით არქივში დაცული მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტაციის გაციფრულების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტაციის გაციფრულებისთვის განხორციელდა რიგი სამუშაო. კერძოდ, ჩატარდა ტენდერის გამოცხადებამდე შესასრულებელი ყველა წინა ღონისძიება, დათვლილ-იქნა აღნიშნული დოკუმენტაცია, რაც შეადგენს 3 990 საქმეს და 603 500 დასასკანერებელ გვერდს. შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ჩატარდა ბაზრის კვლევა, ხოლო ტენდერის გამოცხადება ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გამო ვერ განხორციელდა, კერძოდ, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით. აღნიშნულ ამოცანაზე მუშაობა 2021 წელს გაგრძელდება.

მომხმარებლებისთვის სერვისების მიწოდება, კონსულტაციის გაწევა

2020 წლიდან ცენტრის სერვისები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის, ხელმისაწვდომია ელექტრონულად. 6 თებერვლიდან ამუშავდა mygov.ge-ის პლატფორმა, რომლის მეშვეობით განმცხადებლებს შეუძლიათ ელექტრონულად წარმოადგინონ განცხადება, ასევე ელექტრონულად მიიღონ დასრულებული დოკუმენტები. პორტალზე ხელმისაწვდომია ცენტრის სერვისების ელექტრონულად მიღება: საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება, ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება, დევნილის მიერ მიღებული განათლების აღიარება, ლიკვიდირებულ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.

გარდა ამისა, განცხადების წარმოდგენა შესაძლებელია ცენტრის ოფიციალური სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის info@eqe.ge-ის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ცენტრმა ერთიანი სისტემის რგოლში მოაქცია ელექტრონული ფოსტა (outlook), ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა – eflow და საქართველოს ფოსტა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფა და სერვისების ხელმისაწვდომობა, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის. შეიქმნა სამოქმედო გეგმა, წინასწარ გაწერილი განრიგის შესაბამისად, ოფისში დაწესდა

მორიგეობა. მორიგეები (2-3 თანამშრომელი) მუშაობდნენ ძირითადად მატერიალურ დოკუმენტაციაზე. კერძოდ, ამზადებდნენ საქართველოს ფოსტით შემოსულ და გასაგზავნ წარმოებადასრულებულ მზა კორესპონდენციას, არეგისტრირებდნენ წერილებსა და განცხადებებს.

2020 წლის 27 მაისიდან, ცენტრმა მოქალაქეთა მიღებისთვის შეიმუშავა განრიგი, რომლის შესაბამისად, მოქალაქეები ქოლ-ცენტრის საშუალებით წინასწარ ეწერებიან რიგში, 20-წუთიანი ინტერვალით. ამავდროულად, მოქალაქეთა მიღების დროს დაცულია 2-მეტრიანი დისტანცია წინა ხაზის თანამშრომლებსა და ასევე მოქალაქეებს შორის, წინა ხაზის თანამშრომლები აღჭურვილნი არიან პირბადეებით, ხელთათმანებითა და ფარებით, მოქალაქეები არ დაიშვებიან შენობაში პირბადის გარეშე, შენობის შესასვლელში განთავსებულია სადეზინფექციო სითხე და დეზობარიერი. მომავალში ცენტრი გეგმავს მოქალაქეთა მიღებას my.gov.ge-ის პორტალზე დაჯავშნით. დაინტერესებული პირი შენობაში შესვლას და სერვისის მიღებას მისთვის სასურველ დღესა და დროს შეძლებს. ამ მიზნით ცენტრმა დაიწყო სამუშაო შეხვედრები სსიპ - ცოფრული მმართველობის სააგენტოსთან.

ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები

Covid-19 პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით და ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის რეკომენდაციით, ასევე მუშაობის პროცესის დაჩქარებისა და გამარტივებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებები და ოქმები გადავიდა ელექტრონულ რეგისტრაციაზე, რისთვისაც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების წევრები ჩაერთნენ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში eflow, ასევე პროგრამაში აიტვირთა საბჭოს გადაწყვეტილების ბლანკებიც. ამ სიახლის დასანერგად სამსახურმა მოამზადა მოკლე ინსტრუქცია და გააცნო დაინტერესებულ პირებს.

საგანმანათლებლო სერვისები

საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების სრულყოფა

საგანმანათლებლო სერვისების სამსახურის თანამშრომლები გადავიდნენ დისტანციურად ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაზე, რისთვისაც შევიდა შესაბამისი ცვლილებები შრომით ხელშეკრულებებში.

განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების სერვისის სრულყოფის, საერთაშორისო პრაქტიკის მოკვლევისა და ანალიზისთვის შესწავლილ იქნა ესტონეთის, შვედეთის, პოლონეთის, საბერძნეთის, კანადის, მალტის, ისრაელისა და ფინეთის პრაქტიკა, შემუშავდა ცვლილებების პროექტი, რომლის მიეწოდა ცენტრის დირექტორს და იურიდიულ სამსახურს.

მომხმარებლებისთვის მიწოდებული საგანმანათლებლო სერვისების რაოდენობა

- ცენტრში შემოსული განცხადებების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მომზადდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების 7500–მდე დოკუმენტი (მათ შორის –342 უარი);
- საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების თაობაზე წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით მომზადდა 4296 გადაწყვეტილება (მიღებულ იქნა 3848 დადებითი და 448 უარყოფითი გადაწყვეტილება).
- საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით, განხილულ იქნა სულ 10680 დოკუმენტი.
- მომზადდა 500–მდე უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ ცნობა;
- ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით მომზადდა 278 გადაწყვეტილება (მიღებულ იქნა 199 დადებითი და 79 უარყოფითი გადაწყვეტილება);
- ლტოლვილებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე მომზადდა 19 გადაწყვეტილება, მათ შორის 14 გადაწყვეტილება განათლების აღიარებისა და 5 გადაწყვეტილება განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ;
- ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების თაობაზე მომზადდა 17 დადებითი გადაწყვეტილება;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე მომზადდა 6 გადაწყვეტილება;
- განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების ენობრივი სისწორის შემოწმების მიზნით, ცენტრში შემოსული 127 მკაცრი აღრიცხვის ფორმიდან, ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შეთანხმებულია 72 ფორმა, 52 ფორმასთან დაკავშირებით დადგინდა ხარვეზი. 3 ფორმა განხილვის პროცესშია;
- საანგარიშო პერიოდში დამზადდა და გაიცა 75 დიპლომი.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრის მიერ მომხმარებლებისთვის მიწოდებული საგანმანათლებლო სერვისების რაოდენობა სქემატურად შემდეგნაირად გამოიყურება:



სტრატეგიული კომუნიკაციები

მომხმარებლებზე ორიენტირებული ცენტრის ვებ-გვერდი

მომხმარებელზე ორიენტირებული ცენტრის ვებგვერდის შექმნის მიზნით, 2020 წლის 25 ნოემბრიდან, დაძმობილების (Twinning) პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, მრავალთვიანი მუშაობის შემდეგ, ამოქმედდა ცენტრის ახალი ოფიციალური ვებგვერდი. წლის დასაწყისში უცხოელ ექსპერტებთან ერთად შემუშავდა ცენტრის ვებგვერდის ახალი კონცეფცია, რომელიც გასაცნობად დირექტორსა და ყველა სტრუქტურულ ერთეულს წარუდგინეს. მათი უშუალო ჩართულობით ჩამოყალიბდა ვებგვერდის ახალი კონცეფციის საბოლოო ვერსია. მთავარი მიზანი იყო ახალი ვებ გვერდი მაქსიმალურად ყოფილიყო მომხმარებელზე ორიენტირებული. 2020 წლის მესამე კვარტალში დასრულდა მუშაობა ახალი ვებგვერდის ვიზუალზე. ძველი ვებგვერდიდან ახალ ვებგვერდზე გადატანილ იქნა ინფორმაცია. დაძმობილების (Twinning) პროექტის დახმარებით განახლებული ვებგვერდი *(მთავარი გვერდები)* ინგლისურ ენაზე ითარგმნა. ინფორმაცია ცენტრის ახალი ვებგვერდის ამოქმედების შესახებ ცენტრის ვებგვერდისა და ფეისბუქგვერდის საშუალებით გავრცელდა. ამასთან, ყველა სტრუქტურული ერთეულის უშუალო ჩართულობით სრულად განახლდა შინაარსობრივი ნაწილი ქართულ და ინგლისურ ენაზე.

2020 წლის განმავლობაში ცენტრის ვებგვერდზე აიტვირთა 86 ოქმი და 523 გადაწყვეტილება. 238 ინფორმაცია *ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ და 208 საბჭოს სხდომის ანონსი.* საანგარიშო პერიოდში ცენტრის ვებ და

სოციალური გვერდები მუდმივად ახლდებოდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, პროცესში ჩართული იყო ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის ვებ-გვერდს დაემატა ახალი კატეგორია „მხარდაჭერა COVID-19-ის პირობებში“, რომელიც მოიცავს სამ ახალ ქვე-კატეგორიას:

- რჩევები ინსტიტუციებისათვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით https://eqe.ge/geo/static/903/
- ENQA-ს რეკომენდაციები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, https://eqe.ge/geo/static/905/
- სასარგებლო რესურსები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით https://eqe.ge/geo/static/907/

გვერდი „სასარგებლო რესურსები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით“ რეგულარულად განახლებადია და ამ პროცესში საგანმანათლებლო ინსტიტუციებს ეძლევათ ჩართვის შესაძლებლობა შემდეგ მისამართზე Higher.Ed@eqe.ge;

აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდს, დაემატა TBCPAY-ის ელექტრონული გადახდის ველი, რითაც მოქალაქეებს შეუძლიათ დისტანციურად გადაიხადონ საგანმანათლებლო დოკუმენტების მომსახურების საფასურები (ნამდვილობის დადასტურება, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, ლიცენზირებული განათლების აღიარება, დიპლომის გაცემა, სწავლის ფაქტის დადასტურება).

დაინტერესებულ მხარეებთან, მომხმარებლებთან და ცენტრის თანამშრომლებთან კონსულტაცია, კომუნიკაცია

ცენტრის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით შემუშავდა საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნა უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციები. მედიასთან ურთიერთობის გეგმის შემუშავების ფარგლებში 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ცენტრმა საინფორმაციო სააგენტო „interpressnews.ge“-თან და გაზეთ „ახალ განათლებასთან “გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საშუალებითაც ცენტრის მიერ განხორციელებული სიახლეების შესახებ ვრცელდება ინფორმაცია. ამასთან, უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდა მარკეტინგული გეგმა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უშუალო ჩართულობით დაიგეგმა მისი განხორციელების ნაბიჯები. ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ გაკეთდა ანალიზი, რომელმაც გამოავლინა ცენტრის მარკეტინგული გეგმის გადამუშავების საჭიროება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. 2021 წლისთვის დაგეგმილია შემდგომი ნაბიჯების გატარება ამ მიმართულებით.

ცენტრის ცხელი ხაზი, ე.წ. ქოლ ცენტრი, საქმიანობას ახორციელებს დისტანციურ რეჟიმში, რისთვისაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ხორციელდება ზარების გადამისამართება თანამშრომლების სამსახურებრივ ნომრებზე.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე, ცხელი ხაზი გადავიდა 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ცენტრის საქმიანობის თაობაზე და მისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, შეუძლია მიმართოს ცენტრს. კონსულტირება ხორციელდება ონლაინ ვიდეო/აუდიო ზარის განხორციელებით. ონლაინვიდეო ზარის განხორციელებისათვის ცენტრი იყენებს Skype, Microsoft Teams-ისა და Zoom-ის პლატფორმებსს. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის დაცვის მიზნით, ასევე საქმიანობის უწყვეტად განხორციელებისთვის, ცენტრმა შეიძინა Zoom-ის ანგარიშები.

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა

2020 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი იყო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაძლიერების კუთხით გაწეული სამუშაო. კერძოდ, ცენტრის მიერ გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 144 ერთეული ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 442555 (ოთხას ორმოცდაორი ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი ლარი). ამასთან, გასული წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი შესყიდვები: 1. Covid ინფექციისგან დამცავი სხვადასხვა საშუალებები; 2. დისტანციური კომუნიკაციის პლატფორმის Zoom-ის დამატებით 5 ლიცენზია; 3. მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ელექტრონული კალმების ლიცენზია 4. კვალიფიციური ელექტრონული შტამპი (Eflow-ს სისტემისათვის); 5. საოფისე სავარძლები; 6. მე-4 სართულზე საკონფერენციო დარბაზის მოწყობა (საკონფერენციო მაგიდა); 7. სხვადასხვა სახის საოფისე და საკანცელარიო საქონელი და სხვა.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძინა ონლაინპლატფორმა ZOOM-ის პროგრამა (ოთხი დამოუკიდებელი მომხმარებლისთვის), რომლის მეშვეობითაც ცენტრი ონლაინფორმატში ახორციელებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტებს, მოსამზადებელ შეხვედრებს, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომებს და ა.შ. ასევე, აღნიშნულმა პლატფორმამ ცენტრს შესაძლებლობა მისცა უზრუნველეყო საბჭოს სხდომების საჯაროობა, კერძოდ, საბჭოზე მოწვევის ბმულის ვებგვერდზე წინასწარ გამოქვეყნებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცა, ჩაერთოს და მოუსმინოს საბჭოს მიმდინარეობას.

ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ხარისხის მართვის სისტემის (QMS) დანერგვა. აღნიშნულ პროცესში ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე და ტექნიკურ გამართულობაზე ჩართულია ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი. ცენტრში აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული სისტემის დანერგვისთვის სამუშაოების განხორციელება სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით.

ინფორმაციული უსაფრთხოება

ცენტრი წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტს და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის №312 დადგენილებით განისაზღვრა „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხა“. ზემოაღნიშნული დადგენილებით და საქართველოს პრეზიდენტის N157 ბრძანებულებით [1] ცენტრი განსაზღვრულია როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი, რომელიც ვალდებულია დანერგოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა. შესაბამისად, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ “საქართველოს კანონით“, ცენტრისთვის სავალდებულოა ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით[2] დეტალურადა არის განსაზღვრული. აღნიშნული მოთხოვნები განაწილებულია 3-წლიან პერიოდზე და უნდა ეხმარებოდეს ორგანიზაციას იუმს-ის დანერგვისა და ფუნქციონირების დაგეგმვაში.

შესაბამისად, ცენტრში აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა. ცენტრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით და იუ მენეჯერთან კონსულტაციით განისაზღვრა იუმს-ის გავრცელების სფერო, რომლის საფუძველზეც მომზადდა იუმს-ის გავრცელების სფეროს დოკუმენტი.

გარდა დაგეგმილი აქტივობებისა, Covid-19 პანდემიის პერიოდში, უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა ცენტრის თანამშრომლების ცნობიერების ასამაღლებლად ჩაატარა ონლაინტრენინგი „კიბერ ჰიგიენა“.

ადამიანური რესურსების მართვა

შემუშავებული დოკუმენტები

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ცენტრის პერსონალის შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტის – შინაგანაწესში ცვლილებების პროექტის სამუშაო ვერსია. ცვლილებათა პროექტი მომზადდა ცენტრის სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული უკუკავშირის შედეგად. შინაგანაწესის პროექტი არის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ნაწილი, რომელიც აზუსტებს ცენტრში დასაქმებულების შრომითი ურთიერთობების სამართლებრივ საკითხებს. შინაგანაწესის დოკუმენტის გადახედვის პროცესში გამოიკვეთა საკითხები, რომელიც უნდა დარჩეს შინაგანაწესის ნაწილად, ასევე საკითხები, რომელიც უნდა აისახოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

[1] „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 11 მარტის №157 ბრძანებულება;

[2] „ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 თებერვლის N2 ბრძანება.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით 2020 წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტზე მიმდინარეობდა მუშაობა შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მომზადდა დოკუმენტის სამუშაო ვერსია.

თანამშრომელთა შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით, ადამიანური რესურსების პოლიტიკის სახელმძღვანელოში ცალკე თავი დაეთმობა თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის eHRMS განვითარება, რომლის ერთ-ერთ მოდულს წარმოადგენს შეფასების სისტემა. ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვა და განხორციელება.

ამასთან, დასრულდა თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტებზე მუშაობა, შემუშავებულია ცენტრის საშტატო დოკუმენტით განსაზღვრული თანამდებობების ფუნქცია-მოვალეობების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ფუნქცია-მოვალეობები გადანაწილდა პრიორიტეტულობის მიხედვით ცალკეული ფუნქციის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, განისაზღვრა მისი ხვედრითი წილი, რაც პირველი ეტაპია შესრულებული სამუშაოს შეფასებისთვის.

ჩატარებული სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები

დისტანციურ რეჟიმში მუშაობის პერიოდში, ადამიანური რესურსების მართვის საქმისწარმოების სამსახურს მუდმივად აქვს კომუნიკაცია ცენტრის თანამშრომლებთან სამუშაო პროცესების შეუფერხებლად მიმდინარეობის თაობაზე. სამსახური ელექტრონულად ახდენს შვებულების, დამატებითი შვებულების, ტაბელის, შესვენების დროის გადატანისა და შინაგანაწესით დადგენილი სხვა შეღავათების მართვას.

აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის საკითხებზე დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) და ესტონური ფონდის „არქიმედეს“ (Foundation Archimedes) ექსპერტებთან ჩატარდა ონლაინ შეხვედრა (ვებინარი). ვებინარზე განხილული იყო ესტონეთსა და გერმანიაში ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით არსებული ძირითადი პრაქტიკა და ადამიანური რესურსების მართვა ევროპული ღირებულებების შესაბამისად. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის კონცეფციის შემუშავებაზე, შიდა კომუნიკაციისა და ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე.

თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა ფარგლებში, ჩატარდა 2 ტრენინგი (ვებინარი) დროის მართვასთან დაკავშირებით. ერთი განკუთვნილი იყო

მენეჯერებისთვის, მეორე ტრენინგი – „დისტანციური მუშაობა და დროის მართვა “ ცენტრის ყველა თანამშრომლისთვის.

პერსონალური მონაცემების დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით დასრულდა მუშაობა "ცენტრში პერსონალურ მონაცემთა დაცვის" ინსტრუქციის პროექტზე, რომელიც გადაგზავნილია ცენტრის დირექტორთან განსახილველად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებთან ჩატარდა რამდენიმე ინფორმაციული ტრენინგი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების სხდომების აუდიო-ვიდეო მონიტორინგის შესაძლო განხორციელების თაობაზე, ცენტრში ჩატარდა მცირე კვლევა, რომელიც მოიცავდა როგორც სპეციალური კანონმდებლობის, ისე სხვა ინსტიტუციებში დამკვიდრებული რეგულაციების სამართლებრივ ანალიზს (მაგ: საქართველოს საერთო სასამართლოებში). გასული თვეების მსგავსად, მიმდინარე თვეშიც ცენტრის ყველა თანამშრომელს ორგანიზაციის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე, გაეგზავნა ინფორმაციული ხასიათის წერილები პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის N181 დადგენილების მე-13 მუხლით განსაზღვრული ელექტრონული საქმისწარმოების, ადმინისტრაციული წარმოების და საჯარო ინფორმაციის გაცემის განსხვავებული წესების მიუხედავად, რომელიც გულისხმობდა საჯარო ინფორმაციისა და პერსონალური ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადების შეჩერების შესაძლებლობას, ცენტრში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულ კორესპონდენციებზე პასუხი უმოკლეს ვადებში გაიგზავნა. ასევე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაცია, მათ შორის, ნორმატიული მასალა.

ამასთან, ცენტრში იგეგმება საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის განცხადების სპეციალური ფორმის შემუშავება, რომელიც საკმაოდ ინფორმაციული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესაბამისი იქნება. დამატებით მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ვებგვერდის განახლებაზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნაწილში.

ამასთან, ახალი ვებგვერდის ჩაშვებასთან დაკავშირებით განახლდა საჯარო ინფორმაციის კატეგორიაში არსებული ინფორმაცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან გამოგზავნილი მონაცემების საფუძველზე.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა

ცენტრში რისკის მართვის ხარისხისა და დანერგილი კონტროლის მექანიზმების გაძლიერების მიზნით ჩატარდა აუდიტის წლიური გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებები, ასევე, წინა წლებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგები, რომლის დროსაც შემუშავდა ანგარიშების პროექტები/ანგარიშები, რომლებიც წარედგინა აუდიტის ობიექტებს. შიდა აუდიტის სამსახური მუდმივად უწევდა კონსულტაციებს ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებს.

აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა ტრენინგები შიდა აუდიტის არსის, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის და ინსპექტირების თაობაზე, ვინაიდან შიდა აუდიტი წარმოადგენს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის აუცილებელ ელემენტს, ხოლო სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვა ჩვენი ქვეყნის წინაშე აღებული ვალდებულებაა ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში, აღნიშნული ტრენინგით ამაღლდა თანამშრომელთა ცნობიერება აღნიშნული სისტემის თაობაზე. აღნიშნული ტრენინგ მასალა ეყრდნობა საქართველოს კანონს "სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ", შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, საერთაშორისო სტანდარტებს და ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებას.

Covid-19 პანდემიის გავრცელების პრევენციის ფარგლებში, შიდა აუდიტის სამსახური, ისევე როგორც ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულები, გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე. აუდიტორული საქმიანობა მიმდინარეობს უწყვეტად, აუდიტორული შემოწმებების ანგარიშების დამტკიცება ხორციელდება ელექტრონულად. ასევე, შიდა აუდიტის სამსახური, ერთეულების მომართვის შემთხვევაში, კონსულტაციებს გასცემს დისტანციურად, სატელეფონო გზით ან Zoom/Teams აპლიკაციების საშუალებით. ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში, ცენტრის თანამშრომლები ინფორმირებულები არიან, რომ უნდა აცნობონ შეფერხების შესახებ შიდა აუდიტის სამსახურს.

გარდა აღნიშნულისა ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ვიდეო-კონფერენციაში ,,საჯარო სექტორში შიდა აუდიტის შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI)", რომელზეც ევროკომისიის, ავსტრიის და დიდი ბრიტანეთის ექსპერტებმა გააზიარეს თავიანთი გამოცდილება. საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებსი მიზნით, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები სისტემატურად ესწრებოდნენ ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ვებინარებს.

ინტერნაციონალიზაცია

საქართველოს განათლების სისტემაში გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურად წარმართვისთვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან დაახლოება და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების

ჰარმონიზაცია. გასული წლების განმავლობაში ცენტრმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია საერთაშორისო აღიარების, გაცემული კვალიფიკაციების გამჭვირვალობისა და სანდოობის ამაღლების თვალსაზრისით. ცენტრი არის საერთაშორისო და ევროპის მასშტაბით ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე წამყვანი ორგანიზაციების წევრი და მონაწილეობს საერთაშორისო ფორმატებში. ცენტრის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, 2020 წელს ჩატარდა ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების კვლევა. გაკეთდა საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების/საერთაშორისო ფორმატებში ცენტრის მონაწილეობის ანალიზი და წარედგინა ცენტრის დირექტორს. ამასთან, ჩატარდა კვლევა ცენტრის როგორც საერთაშორისო სერვისების პროვაიდერის შესაძლებლობების შესახებ, რომლის ფარგლებში შესწავლი იქნა წინა წლებში საზღვარგარეთ არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაინტერესება ცენტრის სერვისებით და მომართვიანობის შინაარსი. ანალიზის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება სააგენტოების მიერ საერთაშორისო შეფასებების ორგანიზებას. აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით შეფასდა ცენტრის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და რისკები. დოკუმენტი შესაბამისი რეკომენდაციებით წარდგენილია ცენტრის ხელმძღვანელობისთვის.

WFME

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) რეკომენდაციების საპასუხოდ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც რეკომენდაციების საფუძველზე განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ შეიმუშავა წინადადებები. ასევე, მომზადდა სამედიცინო სფეროს მიმართულებით განათლების მსოფლიო ფედერაციისთვის (WFME) ყოველწლიური ანგარიში, რომლის მომზადებაშიც ჩართული იყვნენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომდგენლები.

საერთაშორისო ექსპერტებისთვის მომზადდა ვიდეორგოლი საქართველოში სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, ამასთან, დამტკიცდა დარგობრივი ჯგუფი, რომელიც იმუშავებს მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების გადახედვაზე. თემატური ანალიზისთვის მომზადდა კვლევის განაცხადი საქართველოში სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით ფორმირდა სამუშაო ჯგუფი. დაწყებულია თვინინგის პროექტის მხარდაჭერით თემატური ანალიზის ჩატარება სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში არსებული გამოწვევების გამოსავლენად. WFME-თან მოხდა ერთსაფეხურიანი მედიცინის პროგრამების აკრედიტაციისა და მათი განმახორციელებელი უსდ-ების ავტორიზაციის პროცესების ნახევრად ონლაინ რეჟიმში განხორციელების მეთოდოლოგიის შეთანხმება. ასევე, დაგეგმილი იყო სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლების მონაწილეობით ღონისძიებების ჩატარება, რაც ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო ვერ განხორციელდა. ამასთან, წლის განმავლობაში განახლდა და გადამზადდა სამედიცინო სფეროს მიმართულებით ცენტრის ექსპერტთა კორპუსი.

ENQA

ENQA–ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით მოხდა სამუშაო ჯგუფის ფორმირება. სამუშაო ჯგუფმა განიხილა საკანონმდებლო აქტებსა და კანონქვემდებარე აქტებში შესატანი ცვლილებები. შედგა სამუშაო ჯგუფის 4 შეხვედრა, ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინა ცენტრის დირექტორს. ჩატარდა რეკომენდაციების შესრულების დოკუმენტის განხილვა დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში გერმანელ და ესტონელ ექსპერტებთან ერთად. ასევე, მესამე კვარტალში შედგა შეხვედრა სამინისტროს წარმომადგენლებთან ინიცირებულ ცვლილებებზე, შეიქმნა 12 სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მოამზადეს ცვლილებების პროექტები ავტორიზაციის და აკრედიტაციის დებულებებში. ENQA–ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ცენტრის მიერ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით მომზადდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში შესაბამისი ცვლილებების პროექტები.

ENQA–ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე თვითშეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა დაგეგმილია 2021 წლის დასაწყისში.

ENQA–ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე თვითშეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით დასრულდა მუშაობა ინსტიტუციებისთვის და ექსპერტებისთვის გეგმური მონიტორინგის სახელმძღვანელოს შექმნაზე. ასევე, დასრულდა მუშაობა ინსტიტუციებისთვის ანგარიშების შევსების გაიდლაინებზე, დამტკიცდა 3–წლიანი შუალედური თვითშეფასების ფორმა, დასრულდა საჩივრების განხილვის პროცედურის აღწერა.

პანდემიის პერიოდში ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო თუ სხვა სახის ვებინარებში და სამუშაო შეხვედრებში: ENQA online General Assembly; ENQA webinar for agencies' CEOs on their strategic response to COVID–19; Consultation on review panels of ENQA Agency Review (ONLINE); ENQA webinar on online visits (ONLINE); European Quality Assurance Forum in Helsinki.

20 მაისს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ENQA–ს ვებინარში, რომელიც შეეხებოდა პანდემიის პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეაგირებას. ვებინარის მსვლელობისას მოხდა ცენტრის გამოცდილების გაზიარება. ასევე, სამმართველომ მონაწილეობა მივიღო ENQA–ს სოციალურ კამპანიაში #QAFromHome ტვიტერზე. QQI–ის წარმომადგენლებს (ირლანდიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო) ცენტრმა დეტალურად გაუზიარა გამოცდილება ვიზიტის ნახევრად ონლაინრეჟიმში განხორციელებასთან დაკავშირებით.

BFUG

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ბოლონიის პროცესის სამეთვალყურეო ჯგუფთან (BFUG), ხოლო ცენტრის წარმომადგენელი თანათავმჯდომარეობს ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ჯგუფის (BICG) ხარისხის უზრუნველყოფის თემატურ საექსპერტო ჯგუფს (TPG on QA). გარდა ამისა, ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ კვალიფიკაციის ჩარჩოს და ECTS (TPG on QF) და ლისაბონის აღიარების კონვენციის (TBG on LRC) თემატური საექსპერტო ჯგუფების მუშაობის პროცესში.

2020 წელს ცენტრი შერჩეულ იქნა ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ჯგუფის (BICG) ხარისხის უზრუნველყოფის თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG on QA) ფარგლებში ინიცირებულ ორ პროექტში: Microbol project და Inclusive Mobility. წლის განმავლობაში ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის (BFUG) და ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ჯგუფის (BICG) თემატური საექსპერტო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ ონლაინ სამუშაო შეხვედრებში. 18–19 ნოემბერს, საქართველოს დელეგაციამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ჩხენკელის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო იტალიის უნივერსიტეტებისა და კვლევების სამინისტროსა და ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის (BFUG) სამდივნოს მიერ ორგანიზებულ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ონლაინ მინისტერიალში – „რომი 2020“, რომელსაც ბოლონიის პროცესის წევრი 48 ქვეყნის დელეგაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი.

ცენტრი ჩართულია ERASMUS+–ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, მათ შორის პროექტში „შეფასების ინსტრუმენტი და წახალისების სისტემები აკადემიური პერსონალის საქმიანობის განვითარებისათვის უმაღლეს განათლებაში“ (PROFFORMANCE). პროექტის მიზანია ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეებზე შესაბამისი სტრატეგიების წახალისებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2020 წელს Erasmus + მიერ დაფინანსებული DEQAR CONNECT პროექტის ფარგლებში მოხდა ცენტრის ახალი ვებგვერდის სინქრონიზაცია DEQAR–ის საინფორმაციო ბაზასთან. აღნიშნული პროექტი მხარს უჭერს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფასა და აღიარებას.

ცენტრი ასევე გახდა ერთერთი პარტნიორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კოორდინირებულ პროექტში – „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში“ (SQUARE), რომელიც Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტების (CBHE) 2020 გამარჯვებულია. აღნიშნული პროექტის მიზანია უნივერსიტეტების მესამე მისიის ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში ქართული

უნივერსიტეტები საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შექმნიან მეთოდოლოგიას და გზამკვლევებს მესამე მისიის დაგეგმვის, დანერგვის, განხორციელებისა და შეფასების შესახებ და შეიმუშავებენ მესამე მისიის სტრატეგიას. პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია უნივერსიტეტების მესამე მისიის შეფასების მიდგომების დახვეწა, რაც შესაძლოა აისახოს ცენტრის მიერ განხორციელებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.

Twinning

2020 წლის განმავლობაში ცენტრმა აქტიურად ითანამშრომლა დაძმობილების (Twinning) პროექტთან და უწევდა კონსულტირებას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის საკითხებზე დაძმობილების პროექტის ფარგლებში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) და ესტონური ფონდის „არქიმედეს "(Foundation Archimedes) ექსპერტებთან ჩატარდა ონლაინ შეხვედრა (ვებინარი). ვებინარზე განხილული იყო ესტონეთსა და გერმანიაში ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით არსებული ძირითადი პრაქტიკა და ადამიანური რესურსების მართვა ევროპული ღირებულებების შესაბამისად. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის კონცეფციის შემუშავებაზე, შიდა კომუნიკაციისა და ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. ასევე, 2020 წელს პროექტის ფინანსური მხარდაჭერით ამოქმედდა ცენტრის ახალი ოფიციალური ვებგვერდი. გარდა ამისა, თვინინგ პროექტი მხარდაჭერას უწევდა ცენტრს 2021–2025 წლების სტრატეგიის შემუშავებაში. პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით დამუშავდა და დამტკიცდა როგორც ცენტრის 2021–2025 წლების სტრატეგია, ისე 2021 წლის სამოქმედო გეგმა.

2020 წელს ცენტრში მიმდინარეობდა მუშაობა თემატურ ანალიზებზე, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის პროექტის (Twinnig) მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას (ოთხი თემატური ანალიზი). თემატურ ჯგუფებთან ტარდებოდა ონლაინ შეხვედრები, რომლებზეც ხდებოდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ცენტრის სტრუქტურული ერთეულებისთვის. აღსანიშნავია, რომ პროექტი ხორციელდება გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან (DAAD) და ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (EKKA) თანამშრომლობით. საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში ჩატარდა ექსპერტთა ვიზიტები, რომლის ფარგლებში მოხდა ევროპული გამოცდილების გაზიარება სტრატეგიული დაგეგმვის, დარგობრივი მახასიათებლების შექმნის, HR პოლიტიკის, საკომუნიკაციო სტრატეგიის საკითხებზე. დაძმობილების (Twinnig) პროექტის საერთაშორისო ექსპერტები ცენტრს გაუწიეს კონსულტირება კლასტერულ აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით. დაიგეგმა კლასტერული აკრედიტაციის პილოტირება წინასწარ შერჩეულ სფეროებში.

2020 წლის განმავლობაში ჩატარდა პროექტის მმართველი კომიტეტის სამი შეხვედრა, რომლის ფარგლებში მხარეებმა წარადგინეს პროექტის მიღწევების, ვადებისა და გამოწვევების ამსახველი ანგარიში. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, გერმანიის განათლებისა და მეცნიერების ფედერალური სამინისტროს, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD),

ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA), საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

გაფორმებული მემორანდუმები და პროექტის ხელშეკრულებები

ცენტრის პრიორიტეტებს შორისაა თანამშრომლობა საერთაშორისო და ევროპულ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან და ასოციაციებთან. 2020 წელს ცენტრი გახდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის (CEENQA) წევრი. ქსელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში განათლების ხარისხის განვითარების 22 სააგენტოს აერთიანებს. ორგანიზაციის მიზანია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას. ქსელში გაწევრიანება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს აძლევს შესაძლებლობას აქტიურად ითანამშრომლოს ქსელის წევრ სააგენტოებთან, იყოს ჩართული დისკუსიებში, რომლებიც ეხება ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ პროექტებში და გაიზიაროს ქსელის წევრი სააგენტოების გამოცდილება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი (CEENQA) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი პლატფორმაა. წლის განმავლობაში ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სააგენტოს მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებში.

2020 წელს დაიგეგმა გრძელვადიანი თანამშრომლობა ცენტრსა და ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსა (EKKA) შორის. ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა 2019 წელს, საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტი ფარგლებში, ხოლო 2020 წლის სექტემბერში მხარეებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების საკითხებზე ინფორმაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესახებ. ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში, მხარეებს შორის მოხდება მეთოდოლოგიური და საკონსულტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ორ სააგენტოს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ცენტრის ადამიანური რესურსის გაძლიერების, საუკეთესო ევროპული გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით. ასეთი თანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოში პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომ განვითარებას და მის დაახლოებას განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან. 2020 წელს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ცენტრსა და უკრაინის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (NAQA) შორის, რომლის მიზანია მხარეებს შორის უმაღლესი განათლების ხარისხის

განვითარების საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობა, ინფორმაციის, გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

ცენტრსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია, საგანმანათლებლო სფეროში ფინანსური გამჭვირვალობისა და პროფესიული განათლების ხარისხის გაზრდა. მხარეები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ითანამშრომლებენ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: ანგარიშგების წარდგენის სისტემის შესახებ გამართავენ პრეზენტაციებს, ცენტრის წინაშე ანგარიშვალდებული სუბიექტების მიერ 2020 წლის და შემდგომი პერიოდის ანგარიშგების წარდგენა მოხდება ვებგვერდის ww.reportal.ge – საშუალებით, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიული განათლების სტანდარტებისა და ხარისხის განვითარების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით ჩართული იქნებიან სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში, ჩაატარებენ ერთობლივ ღონისძიებებს განახორციელებენ სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

ცენტრის ინსტიტუციური განვითარება

საკოორდინაციო საბჭო

ცენტრმა განხორციელდა ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს სტატუსთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ცვლილებების ინიცირება. აღნიშნული ცვლილებებით იზრდება საკოორდინაციო საბჭოს, როგორც დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლობითი ორგანოს როლი და ფუნქციები ცენტრის მართვის, მისი საქმიანობისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების პროცესებში საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენს ცენტრის მართვისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კოლეგიურ ორგანოს.

ცვლილების მიხედვით, საკოორდინაციო საბჭო განიხილავს ცენტრის სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებს, შეიმუშაოს წინადადებებს მათში შესატანი ცვლილებებისა და ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ. საბჭო ასევე უფლებამოსილია განიხილოს პროექტი ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ საბჭო ასევე იქნება უფლებამოსილი განიხილოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები, შეიმუშაოს წინადადებებს მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. საკოორდინაციო საბჭოს წევრები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მონაწილეობას მიიღებენ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრების კანდიდატების შერჩევის პროცესებში. ასევე, საკოორდინაციო საბჭო იქნება ორგანო, რომელიც განიხილავს ცენტრის საქმიანობის გარე შეფასების შედეგებს, მათ შორის – უმაღლესი განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA), უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრის (EQAR) და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ განხორციელებულ შეფასებებსა და რეკომენდაციებს.

ამასთან, ცენტრის ინიცირებული ცვლილებით დადგინდება საკოორდინაციო საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საქმიანობის წესი. მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებული მხარეების ცენტრის მართვის და საქმიანობის პროცესებში ჩართულობა იყოს გამჭვირვალე, რისთვისაც საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმები გახდა საჯარო. აღსანიშნავია, რომ ინიცირებული ცვლილებები ეხმიანება ENQA-ს მიერ გაცემულ რეკომენდაციას ცენტრის მართვის პროცესში საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციის გაზრდის შესახებ.

ცენტრის ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ცენტრის ახალი 2021–2025 წლების სტრატეგიის შემუშავებისთვის, 2020 წლის პირველ კვარტალში ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით მომზადდა ცენტრის 2019 წლის ანგარიში. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე https://eqe.ge/geo/static/59/about-us/annual-reports.

სამუშაო ჯგუფის მიერ შეფასდა ცენტრის სტრატეგიის (2016–2020წ.წ.) შესრულება. აღსანიშნავია, რომ შეფასების დოკუმენტში გამოკვეთილი საკითხები გათვალისწინებულია 2021–2025 წლების სტრატეგიის შემუშავებისას.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის მარტიდან აგვისტოს თვის ჩათვლით იმუშავა ცენტრის ახალი 2021–2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტის კონცეფციაზე, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე და სამოქმედო გეგმაზე, მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის № 629 დადგენილების „პოლიტიკის დოკუმენტების და შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესისა “და დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში შექმნილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართული იყო ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული. შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტების განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ დაძმობილების (Twinning) პროექტის გერმანელი და ესტონელი ექსპერტები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩატარდა ცენტრის სტრატეგიული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა. ჩატარებულ ონლაინ შეხვედრებს 500-მდე პირი დაესწრო, მათ შორის, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები და ცენტრის ექსპერტთა კორპუსის წევრები. შეხვედრების დასრულების შემდეგ, სტრატეგიულ დოკუმენტებში შესაბამისი სამსახურების ჩართულობით დაინტერესებული მხარეების და საერთაშორისო ექსპერტების უკუკავშირი გათვალისწინებულ იქნა საბოლოო ვერსიაში და 2020 წლის 25 დეკემბერს დამტკიცდა ცენტრის 2021–2025 წლების სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმა.

ცენტრის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშგების ეფექტური სისტემის დანერგვის მიზნით, დაძმობილების (Twinning) პროექტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცენტრის სტრუქტული ერთეულები საქმიანობას წარმართავდნენ კვარტალური სამოქმედო გეგმების შესაბამისად, ხოლო წარმოდგენილი

ანგარიშების საფუძველზე მომზადებულია ცენტრის 2020 წლის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშები (სამთვიანი, ექვსთვიანი, ცხრათვიანი) და წლიური ანგარიში.

სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშგების ეფექტური სისტემის დანერგვის მიზნით, დამტკიცდა ცენტრის საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ელექტრონული სისტემის პროექტი. პროექტის განხორციელებას ფინანსურად მხარი დაუჭირა დაძმობილების (Twinning) პროექტმა. შემუშავდა ელექტრონული პლატფორმის ტექნიკური მახასიათებლების დოკუმენტი, რომელიც შეთანხმდა ცენტრის ხელმძღვანელობასთან. დაწყებულია პლატფორმის არქიტექტურაზე მუშაობა, რომელიც 2021 წლის დასაწყისში დასრულდება.

2020 წელს დამტკიცდა სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებულ წესებს, მათ შორის ახალი ელექტრონული პლატფორმის მუშაობასთან დაკავშირებულ წესებს.

ჩატარებული კვლევები, ანალიზი და შემუშავებული დოკუმენტები

2020 წელს შესწავლილ იქნა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) მოდელი, მოდელის დანერგვის საკითხში ცენტრის მიერ მიღწეული შედეგი და გამოცდილება. ანალიზის პროცესში ჩართული იყვნენ ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებდნენ გასულ წლებში მოდელის შესწავლას/დანერგვას. ამასთან, ცენტრის მენეჯმენტის დავალებით 2020 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის 22 სააგენტოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სააგენტოების ერთი ჯგუფი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს ავითარებს საერთაშორისოდ აღიარებული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების მიხედვით (მაგალითად: ISO, EFQM, CAF), ხოლო სააგენტოების უმრავლესობა შიდა პროცესებისა და პროცედურების განვითარებისას ორიენტირებულია ე.წ. „დემინგის ციკლზე“, იგივე დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-განავითარე (PDCA) ციკლზე, რომელიც საფუძვლად უდევს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ყველა მოდელს. აღნიშნული სააგენტოები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს საკუთარი მოდელით ავითარებენ, შესწავლილი და გაანალიზებული მასალის საფუძველზე და კურატორ მოადგილესთან გავლილი კონსულტაციის შედეგად, გადაწყდა, რომ შესაძლებელია საკუთარი გამოცდილებისა და რესურსების გათვალისწინებით ცენტრმა განავითაროს ეფექტური შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ცენტრის განვითარების საჭიროებებსა და დაინტერესებულ პირთა მოთხოვნებზე. ასევე, გათვალისწინებული იქნება მოდელის ხარჯეფექტურობა. დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა მოამზადა ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ცენტრის მიერ EFQM მოდელის დანერგვის ფარგლებში დაგროვილი გამოცდილება.

Covid-19-თან დაკავშირებით დაგეგმილი კვლევები

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2020 წლის 16 მარტიდან გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე და მომხმარებლებს ელექტრონულად შესთავაზა მომსახურება. აღნიშნული გამოწვევის ფონზე და ცენტრის მიერ სათანადო მომსახურების შეფასების მიზნით გადაწყდა, რომ შეფასებულიყო დისტანციურად გაწეული მომსახურების ხარისხი, გამოკვეთილიყო მისი დადებითი, უარყოფითი მხარეები და განვითარების საჭიროებები. შესაბამისად, 2020 წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრის მომხმარებელთა და თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევები. კვლევები მიზნად ისახავდა შეფასებას საქართველოს მთავრობის 2020წ. 23 მარტი №181 დადგენილებით განსაზღვრული COVID-19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობებში, ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ და ცენტრის თანამშრომელთა ონლაინ რეჟიმში მუშაობის კმაყოფილების შეფასებას. კვლევები ჩატარდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი რეკომენდაციები:

- *დაინერგოს მომხმარებელთა კვლევის სისტემა წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და შესაბამისი ინსტრუმენტით, ასევე მომზადდეს კვლევის ორგანიზების ბიზნეს პროცესის აღწერა;*

- *ვინაიდან მომხმარებლებთან ურთიერთობის ძირითად საშუალებებად გამოიკვეთა ქოლ-ცენტრი და ვებგვერდი, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცენტრმა უზრუნველყოს ამ ტენდენციის შენარჩუნება-განვითარება მუდმივი დაკვირვებითა და ინფორმაციის განახლებით;*

- *დაინერგოს ონლაინ რეჟიმში მუშაობისას პერსონალის შეფასების სისტემა. მომზადდეს ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები, მათ შორის სამუშაოს შესრულებისას ონლაინ კომუნიკაციის წესების გათვალისწინებით;*

- *დამატებითი გამოკვლეულ იქნეს ონლაინრეჟიმში მუშაობისას ტექნიკური და პროგრამული საშუალებების გამოყენებისას არსებული გამოწვევები;*

- *ონლაინკომუნიკაციის საშუალებებთან დაკავშირებით დაიგეგმოს პერსონალის გაძლიერების ღონისძიებები.*

ცენტრის მომსახურების მიმღებ მომხმარებელთა კვლევის ანალიზის შედეგები გახდა საჯარო. მომზადებული ანგარიში განთავსდა ცენტრის განახლებულ ვებგვერდზე. აღსანიშნავია, რომ ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის დანერგვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა გამოკვეთილი რეკომენდაციები. კერძოდ, 2021 წელს შეფასდება ცენტრის მატერიალური და პროგრამული რესურსის შესაბამისობა ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-

მოვალეობებთან მიმართებით, ცენტრის თანამშრომელთა ონლაინრეჟიმში მუშაობისთვის საჭირო ტექნიკური და პროგრამული საშუალებების გამოყენების ჩათვლით. ცენტრის თანამშრომელთა შეფასების სისტემის შემდგომი განვითარების ეტაპზე გათვალისწინებული იქნება ცენტრის თანამშრომელთა ონლაინრეჟიმში მუშაობის შეფასების მიდგომები.

2020 წელს ცენტრში დაიწყო მუშაობა ოთხ თემატურ ანალიზზე, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის პროექტ Twinnig-ის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას. ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ოთხი თემატური ჯგუფი. თითოეულ თემატურ ჯგუფში ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტი.

II თავი. განხორციელებული ქვეპროგრამების მოკლე ანგარიშები

„ინსტიტუციური თვითშეფასებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების განვითარების ქვეპროგრამა“

- ✓ ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, თვითშეფასებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების საერთაშორისო გამოცდილებისა და მათ ქართულ რეალობაში ადაპტაციის შესახებ;
- ✓ კერძო და სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტების განხილვა, საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაცია;
- ✓ ხელშეკრულების საფუძველზე, აიყვანეს შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის განათლების 3 და შესაბამისი გამოცდილებისა და დარგობრივი კომპეტენციის დარგის 10 სპეციალისტი;
- ✓ განათლების სპეციალისტების მიერ შემუშავდა „შეფასების ინსტრუმენტების განვითარებისა და ვალიდაციის მეთოდოლოგია “და სამუშაო ფორმები;
- ✓ პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებულ იქნა 10 პროფესიული კვალიფიკაცია. თითოეული კვალიფიკაციის ფარგლებში შეიქმნა 10 სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, განათლებისა და დარგის სპეციალისტებისგან;
- ✓ სამუშაო ჯგუფებმა 6 თვის განმავლობაში იმუშავეს 10 პროფესიული კვალიფიკაციისათვის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით;
- ✓ სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფისათვის განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია. ვალიდატორების მიერ თითოეული პროფესიული კვალიფიკაციისათვის წარმოდგენილია ვალიდაციის დასკვნები. ვალიდატორების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით, სამუშაო ჯგუფების მიერ გადაიხედა შემუშავებული ინსტრუმენტების ბანკი და ჩამოყალიბდა საბოლოო სახით;
- ✓ 10 კვალიფიკაციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების მიერ გადაიხედა ჩარჩო დოკუმენტები და შემუშავდა ინიცირებები დოკუმენტში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე;

- ✓ ჩატარდა ვერიფიკაციის ანალიზისა და სამომავლო გეგმების განხილვა;
- ✓ "ინსტიტუციური თვითშეფასებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების განვითარების ქვეპროგრამის "ფარგლებში განხორციელდა ვერიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა ვერიფიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტების დახვეწა-შედგენაში;
- ✓ სასწავლებლებისგან ელექტრონული სახით გამოითხოვეს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტები. მოწოდებული რეგულაციები შეისწავლეს და დაწესებულებებს ინდივიდუალურად მიეცათ რეკომენდაციები;
- ✓ დაწესებულებებთან ჩატარდა დისტანციური, ონლაინტრენინგი. ტრენინგებზე ორი დღე თვითშეფასების ელექტრონულ პლატფორმასა და ვერიფიკაციის საკითხებს დაეთმო. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული კოლეჯების 193-მა წარმომადგენელმა;
- ✓ დამტკიცდა ინსტიტუციური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა და განისაზღვრა ხარისხის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვისთვის ფორმის ძირითადი პარამეტრები, განისაზღვრა წარდგენის ვადები;
- ✓ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა EMIS-თან კოორდინაციით მომზადდა თვითშეფასების ვიდეოინსტრუქცია-გზამკვლევი;
- ✓ ინსტიტუციური თვითშეფასების ანგარიში ცენტრში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა 85 საგანმანათლებლო დაწესებულებამ;
- ✓ ქვეპროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებები გაუფორმდა თვითშეფასების 9 სპეციალისტს, რომლებმაც შეისწავლეს წარმოდგენილი ანგარიშები და შექმნეს ანალიტიკური დოკუმენტები.

„არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამა"

- ✓ საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონული სისტემის ტექნიკური დავალებისთვის ბიზნესპროცესი და შესაბამისად დაიწყო არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონული სისტემის ფორმირება. შემუშავდა ტექნიკური დავალება მოდულისთვის "სერტიფიცირებული კონსულტანტების შერჩევა და მონაცემთა ბანკის შექმნა", აგრეთვე, მოდულისთვის საჭირო სპეციფიკაციები და მონაცემთა ბაზის სტრუქტურა. მომზადდა პროექტი ახალი მოდულების შემუშავებისთვის;
- ✓ შეიქმნა არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონული სისტემა; მიმდინარეობს არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონული სისტემის პილოტირება/ტესტი და გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრა;
- ✓ დასრულდა არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონულ სისტემაში სერტიფიცირებული კონსულტანტების შეყვანის პროცესი;
- ✓ საანგარიშო პერიოდში არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ორმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, კერძოდ, შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა Nataly Academy პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და ვადით და შპს „თეგეტა აკადემიამ" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და ვადით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანება ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე: https://eqe.ge/res/docs/79753.pdf;

- ✓ შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების გზამკვლევი, რომელიც ეხება არაფორმალური განათლების აღიარების პროცესსა და შესაბამის ეტაპებს;
- ✓ შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების გზამკვლევი, რომლის მიზანია არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცესში დაეხმაროს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას, ისე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელებაზე უფლებამოსილ იურიდიულ პირს. გზამკვლევში მოცემულია ინფორმაცია არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცესსა და ეტაპების შესახებ;
- ✓ შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტების გზამკვლევი, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებდნენ სერტიფიცირებული კონსულტანტებიც;
- ✓ ამჟამად შერჩეულია არაფორმალური განათლების აღიარების 9 სერტიფიცირებული კონსულტანტი. სერტიფიცირებული კონსულტანტების სია ხელმისაწვდომია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე https://eqe.ge/geo/static/873/
- ✓ ჩატარდა სამუშაო შეხვედრა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მქონე დაწესებულებებისა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების განმახორციელებელი კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან. შეხვედრაზე დეტალურად იყო აღწერილი არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურული საკითხები, ეტაპები, შესრულების მონიტორინგის საკითხები, უფლების მოპოვების პროცესი, პირობები და შიდა მარეგულირებელი წესი;
- ✓ სერტიფიცირებულ კონსულტანტებთან ჩატარდა ონლაინშეხვედრა. შეხვედრაზე კონსულტანტებს მიაწოდეს ინფორმაცია შემუშავებულ და შესამუშავებელ გზამკვლევებთან დაკავშირებით, აგრეთვე მათი ჩართულობის შესახებ კონსულტანტის გზამკვლევის შემუშავებაში. აღნიშნული აქტივობა ქვეპროგრამის მიხედვით განსაზღვრულია მთელი წლის განმავლობაში; არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტების მომზადების მიზნით, ჩატარდა ონლაინტრენინგები.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N2

ტელეფონი/ფაქსი: +995 322 200 220 (*3599) საფოსტო ინდექსი: 0193

ელ.ფოსტა: info@eqe.ge